

„ჩიხთა“ შინაოზისათვის

„ჩიხნი“ მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონთან იხსენიებიან; სხვა ქართულ წყაროებში მათი ხსენება არ გვხვდება¹. თავისი თხზულების იმ ნაწილში, რომელსაც „ცხოვრება და ქმნილება მეფეთა ქართლისათა“ ქვია, ვახუშტი გადმოგვცემს: წელსა ქსა ჩრეთ, ქარ. რუჟ [1509 წ.— ა. ა.] გარდმოვიდა სპითა ალექსანდრე² მეფე იმერთა, მოადგა გორს... ალექსანდრემ აღიღო გორი და დაიპყრო თვთ და მოართუეს მორბევა იმერეთისა ჩიხთაგან. უკუნიქცა და წარვიდა იმერეთს³. ამ ამბავს ვახუშტი სხვა ადგილზეც („ცხოვრება ეგრისისა. აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა“) მოგვითხრობს: მეფე ალექსანდრემ „შემოიკრიბნა სპანი, გარდაუვდა ქართლს და აღიღო გორი, ქსა ჩრეთ, ქარ. რუჟ და იწყო პყრობად ქართლისა... მაშინ იმავე ქორონიკონს მოუტყდენ ჩიხნი იმერეთს და მოარბივეს სრულიად. ესე ესმა ალექსანდრეს ქართლს მყოფს, უკმოიქცა და მოვიდა იმერეთს მოწყუედად მათდა. არამედ მათ არღარა ესწრა და განემზადებოდა შურისგებად და ბრძოლად ჩიხთა ზედა“⁴. მეტად აღარც ვახუშტი ახსენებს „ჩიხთა“. აღსანიშნავია, რომ 1508—1512 წლებით დათარიღებულ მრავალ მინაწერში გვხვდება მსგავსი ცნობები, ოღონდ მათში ლაპარაკია თათართა ან ხუნთქრის მიერ იმერეთის დარბევაზე⁵, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „ჩიხნი“ იგივე ოსმალებია.

ვახუშტი მტრის, ამჯერად თათართა, შემოსევას იმერეთში 1512 წელსაც აღნიშნავს: ისინი „სპითა დიდითა და ძლიერთა... მოვიდნენ და მოადგნენ საათაბაგოს. მაშინ მზეჭაბუკ⁶... ეზრახა სარასკარსა და მოვიდა წინაშე მისსა. ხოლო სარასკარმან პატივით შეიწყნარა და ითხოვა მზეჭაბუკისაგან საზრდელი და ყოლაუზობა იმერეთსა ზედა. ამან მზეჭაბუკ ალუსრულნა ყოველნი და წარუძღუა იმერეთს. ჩავიდნენ და ჰყვეს რა იგი აღვსწერეთ“⁷.

შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ ამ ხანებში იმერეთზე სინამდვილეში ერთი თავდასხმა მოხდა და მარბიელნი ოსმალები იყვნენ⁸.

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბ., 1967, გვ. 210; შდრ. მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, XVI—XVII სს. თბ., 1971, გვ. 42.

² ალექსანდრე II, იმერეთის მეფე (1478—1510).

³ ქართლის ცხოვრება, IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ზელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 392.

⁴ იქვე, გვ. 809.

⁵ მცირე ქრონიკები, ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოლიშვილმა, თბ., 1968, გვ. 37, 55, 68; თ. ყორღანიძე, ქრონიკები, II, ტფ., 1897, გვ. 326—327; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210—212.

⁶ მზეჭაბუკი სამცხის ათაბაგია 1500—1515 წლებში.

⁷ ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 711 (ხაზგასმა ჩვენია). მ. სვანიძის აზრით, ვახუშტი „აღწერილში“ გულისხმობს მის მიერ უკვე მოთხრობილ იმერეთში „ჩიხთა“ შემოსვლას (მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41).

⁸ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212; მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

აკად. ივ. ჯავახიშვილი წყაროებში 1508—14 წლებში მოხსენიებულ იმერეთზე ოსმალთა თავდასხმის ნამდვილ თარიღად 1509 ან 1510 წ. ვარაუდობდა⁹, მ. სვანიძე კი ყველაზე რეალურ თარიღად 1510 წ. თვლის¹⁰.

როგორც მითითებული ცნობებიდან ჩანს, „ჩიხნი“ იგივე ოსმალთა თურქებაა და ამდენად მკვლევარნი სავსებით სამართლიანად არ ეთანხმებიან მ. ბროსეს¹¹, როდესაც იგი „ჩიხთ“ ჯიქებთან აიგივებს¹².

ვფიქრობთ, საყურადღებოა, რომ XV ს-ის მეორე ნახევარსა და XVI ს-ის პირველ ნახევარში ხშირად, ხოლო შემდგომში იშვიათად, სომხურ წყაროებში ოსმალთა აღმნიშვნელად გვხვდება სიტყვა „ჩითახ“¹³. ასე მაგ., 1489 წ. სპერში, სოფელ კრნკანში გადაწერილი სომხური სახარების ანდერძში (პიშატაკარანში) ვკითხულობთ: სახარება „დაიწერა“ პარონ¹⁴ დავითის მთავრობის ყამს, რომელიც იყო ჰამშენის უფალი, [და რომელიც] სამშობლოდან გააძევა ჩითახის ნათესავმა და დამკვიდრდა სპერის ქვეყანაში¹⁵; მათ (ჩითახთა) მიერ მრავალი ქრისტიანი მთავარი და მეფე განიდევნა უცხოეთში, მათი მახვილი ღმერთმა დაღწეოს თავისი ყოვლად ძლიერი მარჯვენით, ამინ“¹⁶.

ქართული წყაროს ოსმალთა აღმნიშვნელი „ჩიხნი“ და სომხური წყაროების „ჩითახი“ ერთი და იგივე წარმომავლობის ჩანს. სიტყვა *çitak* დამოწმებულია ცენტრალური ანატოლიისა და რუმელიის თურქულ დიალექტებში, აგრეთვე თანამედროვე ბულგარულში (მასში შესულია თურქულიდან)

⁹ ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

¹⁰ მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42—44.

¹¹ M. Brosset, Histoire de la Georgie, II, Histoire moderne, SPb, 1856, გვ. 18, შგნ. 2, გვ. 384, ნენ., 6.

¹² თ. ყორღანიძე, ქრონიკები, II, გვ. 326; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 210; შდრ. ქართლის ცხოვრება, IV, საკუთარ სახელთა საქმეები, გვ. 1091 მ. სვანიძის აზრით, შესაძლებელია, „ჩიხნი“ ტრაპიზონის საფაშოში მცხოვრები, იმერეთზე თავდასხმის მონაწილე ერთ-ერთი ტომის დაპაზიჩვებული სახელწოდება იყოს (მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 42).

ჯიქთა შემოსევა იმერეთში მოულოდნელია იმის გამოც, რომ იმ დროისათვის ჯიქეთი აფხაზეთის მთავრის შერვაშიძის საგამგებლო ქვეყანაში შედიოდა (იხ. ზ. ანჩაბაძე, თ. ბოცვაძე, გ. თოგოშვილი, მ. ცინცაძე, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1969, გვ. 79).

¹³ **ლ. ხაჯიქიანი**, ზღერ ნომაჯისანაკ ყათამაიკიუნსიყ, ჩანსერ ხესანსი ჩამოყსარისი, 1969, № 2, გვ. 130.

¹⁴ ეს ტერმინი ამა თუ იმ პირის საერო ხელისუფლებაზე მიგვანიშნებს.

¹⁵ ჰამშენის სამთავრო, რომლის ცენტრი მდებარეობდა რიზეს აღმოსავლეთითა და ათინას სამხრეთით, ოსმალებს უნდა მიეტაცებინათ 1489 წელს, ან რამდენიმე წლით ადრე (**ლ. ხაჯიქიანი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 128). ამ ხანებში სპერი აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოში შედიოდა.

როგორც ჩანს, XIV—XV საუკუნეებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ პროვინციაში ქართული მოსახლეობა შეთხელდა, რასაც, უმთავრესად, ამ მხარეებში ხშირი ომიანობა განაპირობებდა. იქაურ მკვიდრთა ერთი ნაწილი ამოწყდა, ზოგი დაატყვევეს და აღმოსავლეთის ბაზრებში გაყიდეს, ზოგმაც ჩრდილოეთით, მტერთაგან შედარებით უკეთ დაცულ ქართულ პროვინციებს მიაშურა. თავისუფალ ადგილებს უფრო მეტად სომხური მოსახლეობა იჭერდა (იხ. ა. აბდლაძე, საქართველოს XIV ს-ის ისტორიის ზოგიერთი საკითხი სომხურ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების ცნობათა შუქზე, „საისტორიო კრებული“, V, თბ., 1976, გვ. 100—101).

¹⁶ **ბხ. გარსი ჩაიხენსი ბხაყაყხიჩი ჩიჯათასკარანსხერ**, III, **კაყმხე ლ. ხაჯიქიანი**, ხესანსი. 1967, გვ. 470.

და ნიშნავს მოუხეშავს, არამზადას, თავზე ხელაღებულს, ჩხუბისთავს¹⁷. სომხებსა და ქართველებს შესაფერი სახელი შეურჩევიათ მათთვის საძულველი, მრისხანე მტრისათვის. საინტერესოა, რომ სიტყვა „ჩითახო“ დღესაც იხმარება ქართულში, კერძოდ, დასავლურ დიალექტებში და ნიშნავს ცუდი გარეგნობის, ანტიპათიურ კოქლს¹⁸.

„ჩითახ“-თან დაკავშირებით შეიძლება მოვიგონოთ ისიც, რომ ქართულ წყაროებში ვერცხლის ფულის აღმნიშვნელად, სხვათა შორის, იხმარება ტერმინი „ჩითახური“¹⁹. ამის თაობაზე დ. კაპანაძე შენიშნავს: „ჩითახური აშკარად გეოგრაფიული ხასიათის“ ტერმინია. „ჩითახევი, რომელიც ადრე საქართველოს საზღვრებში შედიოდა, მდებარეობს ამჟამად ტრაპიზონის ვილაიეთში და ძველთაგანვე განთქმული იყო ვერცხლის საბადოებით“²⁰. საფიქრებელია, რომ „ჩითახ“ ჩითახევთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან ბორჯომის მახლობლადცაა დადასტურებული სოფელი ჩითახევი და იქვე დღემდე შემორჩენილია ჩითახევის ნამონასტრალი²¹.

ვახუშტის „ჩიხნი“ „ჩითახნი“-დან უნდა მომდინარეობდეს. „ჩიხთა“ მიერ იმერეთის დარბევის შესახებ ცნობა ვახუშტის, უეჭველია რაღაც წყაროდან უნდა ჰქონდეს აღებული.

А. П. АБДАЛАДЗЕ

К ВОПРОСУ О «ЧИХАХ»

Резюме

Известный грузинский историк Вахушти Багратиони (XVIII в.) сообщает, что в начале XVI в. «чихи» опустошили Имерети. При изучении армянских и грузинских источников выяснилось, что под «чихами» подразумеваются турки-османы.

¹⁷ იხ. Söz Derleme Dergisi, vol. 1, İstanbul, 1939, გვ. 342—343 (ვიმოწმებთ წინიდან: Colophons of armenian manuscript: 1301—1480, edited by A. K. Sanjian, Cambridge, Massachusetts, 1969, გვ. 347).

¹⁸ ეს სიტყვა ასე განვიმარტეს წყალტუბოს რ-ნის სოფ. საყულის ხანდაზმულმა მცხოვრებლებმა ვ. მესხიშვილმა, ფ. დიდიძემ და სხვ. იხ. აგრეთვე ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, თბ., 1964, გვ. 504.

¹⁹ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 175.

²⁰ იქვე, გვ. 175—176.

²¹ ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, III, თბ., 1958, გვ. 480; ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები, თბ., 1955, გვ. 214—216.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებამ